

გაუწევს თუ არა ქართული ხიზიდადა კონკურენციას იმპორტირებულ პროდუქციას?



დეკემბრიდან ბაზარზე ქართული ხიზიდადა „უმადი“ გამოვიდა. როგორც „კომერსანტთან“ თევზის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია შპს „ახალი თევზის“ დირექტორი მიხეილ მჭედრიშვიდი აცხადებს, ამ ეტაპზე სარეაგირაბო ქსედიში კარმახის (წითელი) ხიზიდადა

ჩაეშვა, ხოლო შემოდგომაზე მუხის (შავი) ხიზიდადის წარმოება დაგეგმილია.

რაც შეეხება პროდუქციის საფასო პოლიტიკას, 100 გრამიანი ხიზიდადა 23 ლარი ღირს, ხოლო 200 გრამიანი 47 ლარი.

მიხეილ მჭედრიშვიდი აცხადებს, რომ ქართველი მომხმარებელი კვდავ რუსეთიდან იმპორტირებულ ხიზიდადას ანიჭებს უპირატესობას და ბაზარზე ამ თვარსაზრისით თავის დამკვიდრება რთულია. მისივე თქმით, მომხმარებელმა ბაზარზე არსებული უნდობლობის გამო პროდუქცია სათანადო დონეზე ვერ მიიღო.

„რუსული ხიზიდადა მომხმარებელში ნდობას იწვევს, რასაც ქართულზე ვერ ვიტყვით. ქართველები წლების განმავლობაში სწორედ რუსეთიდან იმპორტირებულ ხიზიდადას ყიდულობენ და მას ენდობიან. თუმცა ჩვენ ვცდილობთ, რომ ქართული ხიზიდადის მიმართ ნდობა გავზარდოთ და საზოგადოებას პროდუქცია სწორად მივაწოდოთ. მომხმარებელმა ბაზარზე არსებული უნდობლობის გამო ჩვენი პროდუქცია სათანადო

დონეზე ვერ მიიღო. მეორე საკითხია ბაზარზე კუსტარულად დამზადებული იატყუასიანი ხიზიღაღა, რომელსაც საზოგადოება დაბადი ფასის გამო ყიდულობს. ჩვენი პროდუქცია კი ამ ორ პროდუქტს შორის აღმოჩნდა. კომპანიის წარმოება იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ მომხმარებლის რაოდენობა მოიმატებს“, – განაცხადა მჭედრიშვილი.

როგორც ცნობილია, თევზის გადამამუშავებელი კომპანია და ქარხანა ქარელის რაიონის სოფელ ურბნისში მდებარეობს. აღნიშნული საწარმო „ერთიანი აგროპორექტის“ ფარგლებში შეიქმნა. „ახალი თევზი“ წლიურად 150 ტონა სხვადასხვა სახეობის თევზისა და ხიზიღაღას წარმოებას უზრუნველყოფს. საწარმოში 30 ადამიანია დასაქმებული. უახლოეს მომავალში მათი რიცხვი 65-მდე გაიზრდება. ამ ეტაპზე პროდუქციის 100% განკუთვნილია ადგილობრივი ბაზრისთვის, იგეგმება ექსპორტზე გატანაც.

კომპანია „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის“ ბენეფიციარია. საწარმოში ჯამურად 1,500,000 აშშ დოლარი ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 249,081 აშშ დოლარი გრანტია, ხოლო 311,352 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტი.